

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ ნათია თურნავას

29-04-2025

(თარიღი)

შპს „ჯეოსთილი“ პასუხისმგებელი პირების განცხადება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამავე პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია შპს „ჯეოსთილის“ მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის N181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და ჯგუფის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

გენერალური დირექტორი:


_____ ბალაკრიშნან საჯიგ

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


_____ ჰარდიგ სინი



GEOSTEEL LLC

www.geosteel.com.ge

The Only UK CARES & TSE Accredited Company
In Caucasian and former USSR Region.
Geosteel LLC is an ISO9001:2008 certified company.



Certificate No: IST6011783



001



120702



1330



Certificate No:
14.10.02/TSE-32095

შპს „ჯეოსთილი“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებული ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძველი	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	14
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	22
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	22
6. ძირითადი საშუალებები	27
7. მარაგები.....	28
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	30
11. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება.....	30
12. მიღებული სესხები და ობლიგაციები	31
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	33
14. საგადასახადო ვალდებულებები.....	33
15. ამონაგები.....	33
16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	33
17. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	34
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	34
19. ფინანსური შემოსავალი.....	34
20. გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	35
21. პოტენციური ვალდებულებები.....	35
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	36
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	37

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	38
---	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეოსთილის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

აუდიტორის მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ჯეოსთილის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 1-ელ შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფის შვილობილ კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდება კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისგან და შესაბამისად, კონსოლიდირებული ანგარიშგება გამოხატავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

აუდიტის ძირითადი საკითხები	
ამონაგების აღიარება ამონაგები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელზე დაყრდნობითაც ჯგუფი აფასებს თავის შედეგებს. ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში - არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა. ამონაგების შესახებ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა წარდგენილია მე-15 განმარტებით შენიშვნაში. რადგან ჯგუფისთვის ამონაგებიდან მიღებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს საოპერაციო ფულადი ნაკადების მთავარ მაგენერირებელ წყაროს, აუდიტის მიზნებისთვის ეს მუხლი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ტრანზაქციების დიდი მოცულობის და შემოსავლის სრულად და სწორი თანხით აღრიცხვასთან დაკავშირებული შეფასების მნიშვნელოვნების გამო.	აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ძირითადი აუდიტორული პროცედურები: - შევსწავლეთ შემოსავლების ფორმირების ირგვლივ არსებული შიდა კონტროლის გარემო აუდიტისთვის მნიშვნელოვანი კონტროლების შესწავლის მიზნით; - ოპერაციათა სახეობების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლებისთვის (ადგილობრივი და უცხოური გაყიდვები) შევისწავლეთ მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა ფასს 15-ის მოთხოვნებთან; - გავანალიზეთ ხელშეკრულებების პირობები ფასს 15-ის მიხედვით ამონაგების აღიარების მოთხოვნებთან მიმართებით; - ანალიტიკურად დავადარეთ რამდენად ლოგიკური კავშირია შემოსავლის და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილებას შორის; - შერჩევითი შემოწმების გზით დავუდარეთ გამოწერილ პირველად დოკუმენტებში მოცემული თანხები და პროდუქციის რაოდენობა პროგრამულ მონაცემებს; - შევასეთ განმარტებითი შენიშვნების შესაბამისობა ფასს 15-ის მოთხოვნებთან.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას; და
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 აპრილი, 2025 წელი

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხედრავია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას; და
- ჯგუფის შვილობილი საწარმო არაარსებითია და სხვაობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

29 აპრილი, 2025 წელი

შპს „ჯეოსთილი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	91,285	80,581
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	6	-	860
არამატერიალური აქტივები		237	299
		<u>91,522</u>	<u>81,740</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	85,906	76,649
საგადასახადო აქტივები	14	-	344
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,253	5,859
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	66,619	35,251
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	17,673	22,165
		<u>175,451</u>	<u>140,268</u>
სულ აქტივები		<u>266,973</u>	<u>222,008</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2,098	2,098
გაუნაწილებელი მოგება	11	113,715	119,662
სულ კაპიტალი		<u>115,813</u>	<u>121,760</u>
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	-	66,923
		<u>-</u>	<u>66,923</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	29,552	23,668
საგადასახადო ვალდებულებები	14	10,409	-
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	111,199	9,657
		<u>151,160</u>	<u>33,325</u>
სულ ვალდებულებები		<u>151,160</u>	<u>100,248</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		<u>266,973</u>	<u>222,008</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ბალაკრიშნან საჯივი

მთავარი ფინანსური ოფიცერი

ანურაგ შრივასტავა



შპს „ჯეოსთილი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	91,285	80,581
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	6	-	860
არამატერიალური აქტივები		237	299
		91,522	81,740
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	85,906	76,649
საგადასახადო აქტივები	14	-	344
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	5,253	5,859
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	66,619	35,251
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	17,673	22,165
		175,451	140,268
სულ აქტივები		266,973	222,008
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2,098	2,098
გაუნაწილებელი მოგება	11	113,715	119,662
სულ კაპიტალი		115,813	121,760
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	-	66,923
		-	66,923
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	29,552	23,668
საგადასახადო ვალდებულებები	14	10,409	-
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	111,199	9,657
		151,160	33,325
სულ ვალდებულებები		151,160	100,248
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		266,973	222,008

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ბალაკრიშნან საჯივი

მთავარი ფინანსური ოფიცერი _____ ანურაგ შრივასტავა

11-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯეოსთილი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	15	264,881	281,361
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	16	(215,716)	(251,398)
საერთო მოგება		49,165	29,963
სხვა შემოსავალი		868	384
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	17	(2,374)	(2,521)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(11,210)	(10,661)
საოპერაციო მოგება		36,449	17,165
ფინანსური შემოსავალი	19	8,963	7,532
ფინანსური ხარჯები	12	(4,511)	(7,147)
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	20	(6,255)	1,873
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, გადაფასება და ვაჭრობის ოპერაციების ეფექტი	9	20,332	(3,252)
წმინდა შემოსავალი (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(2,885)	1,188
მოგება დაბეგვრამდე		52,093	17,359
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(8,040)	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		44,053	17,359

11-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯეოსთილი“

საკუთარი კაპიტალის კონსოლიდირებული ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,098	102,303	104,401
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	17,359	17,359
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,098	119,662	121,760
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	44,053	44,053
გამოცხადებული დივიდენდები	-	(50,000)	(50,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,098	113,715	115,813

11-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯეოსთილი“

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

('000 ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		52,093	17,359
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	16, 17	4,336	3,977
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ცვლილება	8	981	(177)
ცვლილება საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში, გადაფასება და ვაჭრობის ოპერაციების ეფექტი	9	(20,332)	3,252
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	20	6,255	(1,873)
ფინანსური შემოსავალი	19	(8,963)	(7,532)
ფინანსური ხარჯი		4,511	7,147
წმინდა (მოგება) ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		2,885	(1,188)
		41,766	20,965
(ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში:			
მარაგები		(9,257)	45,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		586	4,539
საგადასახადო აქტივები		-	1,979
ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		6,826	3,066
საგადასახადო ვალდებულებები		2,713	-
		42,634	75,740
მიღებული პროცენტი მიმდინარე ანგარიშებიდან და მოთხოვნამდე დეპოზიტებიდან		900	1,870
გადახდილი პროცენტი		(6,132)	(7,359)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		37,402	70,251
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(16,278)	(23,327)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		-	(860)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(91)	(265)
გაცემული სესხები		(7,995)	(1,023)
დაფარული სესხები		1,740	2,270
მიღებული პროცენტები		6,444	4,247
ინვესტიცია სავალო ფასიან ქაღალდებში		(20,084)	(5,650)
თანხმობის საფასური ბონდის სახელშეკრულებო პირობის ცვლილებაზე		351	-
სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული თანხა		5,636	-
სავალო ფასიანი ქაღალდების ნაწილობრივი გამოსყიდვა		4,622	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(25,655)	(24,608)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		121,163	224,839
გადახდილი სესხები		(87,565)	(253,695)
გადახდილი დივიდენდები		(50,000)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(16,402)	(28,856)
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები		(4,655)	16,787
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	10	22,165	5,402
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		163	(24)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	10	17,673	22,165

11-37 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეოსთილი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია და საქმიანობს საქართველოში. მისი ოფისი და საწარმოო ქარხანა რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე - საქართველო, რუსთავი 3700, დავით გარეჯის ქუჩა 36. კომპანია დარეგისტრირებულია რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 216425919.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
Georgian Steel Group Holdings Limited ("GSGHL")	90%	90%
JSW Steel B.V. ("JSW BV")	10%	10%
	100%	100%

კომპანიის მაკონტროლებელი წილის მფლობელია GSGHL.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო არმატურის წარმოება, ცხლად გლინვის მეთოდითა და სამშენებლო ფოლადის ნაშადის გამოყენებით, რომელიც იწარმოება ელექტრო რკალური ღუმელის მეშვეობით.

2023 წელს კომპანიამ დაარსა შვილობილი საწარმო შპს „ჯეოსქრეფი“ (416376807), რომელშიც ფლობს 100%-იან წილს. შვილობილს 2024 და 2023 წლებში არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისად, ჯგუფის 2024 და 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდებოდა შპს „ჯეოსთილის“ მოცემული ფინანსური ანგარიშგებისგან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ოპერაციებს აღრიცხავს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დამრგვალებულია ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ჯგუფის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაზე და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხება შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- ▶ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ▶ ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ▶ ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- ▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- ▶ მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციების შედეგები, ასევე ფინანსური ვალდებულებებისა და ფინანსური აქტივების წლის ბოლოს ოფიციალური კურსის საფუძველზე გადაფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი აისახება ჯგუფის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება არ ეხება მხოლოდ არამონეტარულ მუხლებსა და წილობრივ ინსტრუმენტებს. საკურსო სხვაობის ეფექტი სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში აისახება, როგორც „წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან“.

ჯგუფის შედეგები და ფინანსური პოზიცია საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირდება შემდეგნაირად:

- მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსებით;
- ჯგუფის მიერ განხორციელებული ოპერაციები უნდა აღირიცხოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, ოპერაციის თარიღისთვის, თუ ოპერაციის ვალუტა განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (ლარი);
- კაპიტალის კომპონენტები აღირიცხება ისტორიული კურსებით; და

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მთლიან სრულ შემოსავალში.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი
	აშშ დოლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი, გარდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა და დაკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შეფასებულია „სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით. მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების ფასს 9-ის მატრისის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-4, მე-9 და მე-20 შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს. საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ისეთი თანხები, რომლებსაც 3 თვეზე მეტი ვადიანობა გააჩნიათ, შეიძლება კონვერტირდეს ნაღდ ფულად ბანკისთვის წინასწარი მოკლე შეტყობინების შემდეგ, ამასთან შეიძლება განიცადოს მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება ღირებულებაში, ასევე წარდგენილია, როგორც ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნულში შედის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.

ფინანსური აქტივები იმ შემთხვევაში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ მათი მართვა არ ხდება ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა. ერთ-ერთი ბიზნეს მოდელი, რომელიც ფინანსური აქტივების შეფასებას იწვევს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის მოდელი, რომლის ფარგლებშიც საწარმო ფინანსურ აქტივებს მართავს ფულადი ნაკადების მიღების მიზნით აქტივების გაყიდვის შედეგად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საწარმო გადაწყვეტილებებს იღებს აქტივების სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე და აქტივებს მართავს მათი სამართლიანი ღირებულების რეალიზებისთვის. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, საწარმოს მიზანი აქტიურ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს იწვევს. მართალია, საწარმო სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივების ფლობის პერიოდშიც მიიღებს, მაგრამ ამგვარი ბიზნეს მოდელის მიზანი არ მიიღწევა ერთდროულად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. ეს იმით არის განპირობებული, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ამ ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილი არ არის, არამედ თანმდევი (მეორეხარისხოვანი) ოპერაცია.

ფინანსური აქტივების ისეთი პორტფელის მიზანი, რომლის მართვა და შედეგების შეფასება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ხდება, არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა ერთდროულად. საწარმო ძირითად ყურადღებას უთმობს სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციას და ამ ინფორმაციას იყენებს აქტივების შედეგების შესაფასებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად. გარდა ამისა, არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და არც ერთდროულად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა არ არის აქტივების ისეთი პორტფელის მიზანი, რომელიც აკმაყოფილებს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების განმარტებას.

ფინანსური აქტივების ამგვარი პორტფელისთვის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მხოლოდ თანმდევი (მეორეხარისხოვანი) ოპერაციაა, რომელიც ხორციელდება ბიზნეს მოდელის მიზნის მიღწევის პროცესში. მაშასადამე, ფინანსური აქტივების ასეთი პორტფელები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტების“-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ჯგუფმა შეაფასა რომელი ბიზნეს მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს უცვლელი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სესხით სარგებლობის დანახარჯები

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნასესხები სახსრების დანახარჯები აღირიცხება აღნიშნული აქტივის თვითღირებულებაში. ამგვარი ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები კაპიტალიზდება როგორც აქტივის თვითღირებულების ნაწილი, როდესაც მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები საწარმოს მომავალში მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იქნა გაწეული. ნასესხები სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებში შედის: საპროცენტო ხარჯი, რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული პროცენტი; და უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოშობილი საკურსო სხვაობის თანხა, თუ იგი განიხილება როგორც საპროცენტო დანახარჯების კორექტირება.

თუ სესხის აღება ხდება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის მისაღებად, ამ აქტივთან მიმართებით ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებად ნაწილს საწარმო განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდში ამ სესხთან დაკავშირებით გაწეული ნასესხები სახსრების ფაქტობრივი დანახარჯებიდან იმ საინვესტიციო შემოსავლების თანხის გამოქვითვით, რომელიც მიიღება მოცემული სესხის მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებიდან.

თუ საწარმომ აიღო ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, მაგრამ გამოიყენა რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. 2024 წელს გამოყენებულია ლარის სესხებისთვის 8.5%-9% შუალედში (2023: 7.8%).

საწარმომ ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, განსაკუთრებული აქტივის თვითღირებულებაში იწყება როდესაც საწარმო პირველად დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა პირობას:

- განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;
- გაწეულია ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;
- დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია დროებით ჩერდება როდესაც შეფერხდება აქტივზე აქტიური სამუშაოების წარმართვის პროცესი. ნასესხები სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი წყდება როდესაც ძირითადად, მთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა აქტიური სამუშაო.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი ხარჯები მიეკუთვნება აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება ჯგუფში და ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი აქტივის ღირებულება ჩამოიწერება. რემონტისა და შეკეთების ყველა სხვა დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთის ხარჯის დაანგარიშება, ყველა ჯგუფის ძირითადი საშუალებისა და არამატერიალური აქტივისთვის ხდება წრფივი მეთოდით, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	25 წლამდე
ავტომობილები	5
ავეჯი	5-7

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებისა და ცვეთის მეთოდის გადახედვა. შეფასებაში მომხდარი ყოველი ცვლილება აღირიცხება პერსპექტულად.

თუ ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ ისინი აღირიცხება განცალკევებით (ძირითადი კომპონენტები).

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან განისაზღვრება აქტივის გასვლის შედეგად შემოსული თანხებისა და ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების შეპირისპირებული ოდენობით და წმინდა შედეგი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები/სხვა ხარჯები.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის განიხილება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება აჭარბებს თუ არა მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულება აჭარბებს შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივები ჩამოიწერებიან მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და ჩაერთვება საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების ცვეთა კორექტირდება მომავალ პერიოდებზე რომ გადანაწილდეს აქტივის შეცვლილი საბალანსო ღირებულება, გამოკლებული მისი ნარჩენი ღირებულებით, სისტემატიურად მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე.

მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია

ჯგუფის მარაგები მოიცავს მზა პროდუქციას, ნახევრად მზა პროდუქციას, ნედლეულსა (ჯართი) და სხვა მარაგ ნაწილს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, შრომის ანაზღაურება, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები. წარმოების პროცესში გახარჯული ნედლეულის აღსარიცხად ჯგუფი იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

ჯგუფი აწარმოებს ჯართსა და ნახევრად მზა პროდუქციას – ე.წ. ნამზადი. ყოველთვიურად გახარჯული ნედლეული აკუმულირდება მზა საქონლად. ზედნადები ხარჯების გადანაწილება წარმოებულ ერთეულზე ხდება გამოყენებული ნედლეულის რაოდენობის პროპორციულად.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ ჯგუფი აფასებს ფულის მაგნიერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის საქონლის (არმატურა, ნამზადი და სხვა) მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი საქონლის (არმატურა, ნამზადი და სხვა) რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან მომდევნო 1 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას, გარდა მიწოდების მომსახურებისა. შესაბამისად ჯგუფი მთლიან საკონტრაქტო ფასს ანაწილებს კონკრეტულ მომსახურებაზე და მიწოდების მომსახურებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ტრანსპორტირების ხარჯი წარმოადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას, რადგან აღნიშნული ხარჯები გაიწევა ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯების აღიარება

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაწინებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დაბეგვრა

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე გადასახადი დაიანგარიშება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება და მოგება, რომელიც წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში განსხვავდება, რადგან არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც არ არის დაბეგვრის ობიექტი ან გამოქვითულია მიმდინარე პერიოდში. მოგების გადასახადის ხარჯი დაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში აქტიური ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლის გააქტიურებული განაკვეთის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრი მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასის შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფი აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს ჯგუფს გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას ჯგუფი ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად ჯგუფი აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დანაგარიშება ეფუძნება ჯგუფის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ ჯგუფის მომხმარებლებზე. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-9 შენიშვნაში. დეტალები გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასებების შესახებ მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფს გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ჯგუფის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო რისკი.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	8	3,920	4,593
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	17,673	22,165
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	66,619	35,251
		88,212	62,009

ჯგუფი წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცილებული ჯგუფისთვის.

ზემოთ მოცემული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის გასაწიკრებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	13	13,924	-	13,924
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	1,285	116,043	117,328
		15,209	116,043	131,252

ლიკვიდურობის ანალიზი ფინანსური ვალდებულებებისთვის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე	სულ
სავაჭრო ვალდებულებები	13	11,824	-	-	-	11,824
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	5,121	10,140	70,868	-	86,129
		16,945	10,140	70,868	-	97,953

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ვალდებულებები.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	სხვა	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	8	3,920	-	-	-	3,920
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	6,499	5,193	5,979	2	17,673
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	-	66,619	-	-	66,619
		10,419	71,812	5,979	2	88,212
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	13	7,045	5,984	-	895	13,924
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	2,000	109,199	-	-	111,199
		9,045	115,183	-	895	125,123
ღია საბალანსო პოზიცია		1,374	(43,371)	-	(893)	(36,911)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	სხვა	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	8	3,836	757	-	4,593
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	9,351	12,775	39	22,165
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	-	35,251	-	35,251
		13,187	48,783	39	62,009
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	13	4,338	6,646	840	11,824
მიღებული სესხები და ობლიგაციები	12	-	76,580	-	76,580
		4,338	83,226	840	88,404
ღია საბალანსო პოზიცია		8,849	(34,443)	(801)	(26,395)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის სენსიტიურობა	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(8,674)	8,674	(6,889)	6,889
სხვა ვალუტები	(179)	179	(160)	160

ამ ანალიზის ფარგლებში მიიჩნევა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთი, რჩება უცვლელი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები	84,292	57,416
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები	(111,199)	(76,580)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა	(26,907)	(19,164)

ჯგუფი აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საპროცენტო შემოსავლის მომტანი ყველა აქტივი და საპროცენტო ხარჯის წარმომშობი ყველა ვალდებულება წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საპროცენტო შემოსავლის მომტანი ყველა აქტივი და საპროცენტო ხარჯის წარმომშობი ყველა ვალდებულება წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, გარდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისა. ამ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება არის 22,508 ათასი ლარი. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალზე ექნება 225 ათასი ლარის ეფექტი.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს 7-ის მიხედვით, ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება სამართლიანი ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემაჯავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ორგანიზაცია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

ფულისა და ფულის ეკვივალენტებისა და სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- ჯგუფის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები	ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,060	28,606	85,739	694	1,185	5,531	122,815
შემოსვლა	6,385	845	265	793	55	18,363	26,706
დაკაპიტალიზებული პროცენტი	-	-	-	-	-	414	414
გასვლა	-	-	-	(67)	(2)	-	(69)
მოძრაობა	-	-	779	-	-	(779)	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,445	29,451	86,783	1,420	1,238	23,529	149,866
შემოსვლა	3,847	263	769	61	63	9,221	14,224
დაკაპიტალიზებული პროცენტი	-	-	1,601	-	-	-	1,601
გასვლა	-	-	(848)	(271)	-	-	(1,119)
მოძრაობა	-	53	6,181	-	-	(6,234)	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	11,292	29,767	94,486	1,210	1,301	26,516	164,572
ცვეთა და ამორტიზაცია							
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(15,868)	(48,522)	(469)	(649)	-	(65,508)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(739)	(2,926)	(110)	(64)	-	(3,839)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	60	2	-	62
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(16,607)	(51,448)	(519)	(711)	-	(69,285)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(755)	(3,167)	(197)	(64)	-	(4,183)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	181	-	-	181
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(17,362)	(54,615)	(535)	(775)	-	(73,287)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,445	12,844	35,335	901	527	23,529	80,581
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	11,292	12,405	39,871	675	526	26,516	91,285

ისეთი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელთა საბალანსო ღირებულებაც ნულია და ჯგუფი ისევ იყენებს წარმოადგენს 5,801 ათას ლარს და 2,455 ათას ლარს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა ავანსს 860 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილი იყო საწარმოში დამატებითი დანადგარის შესყიდვისთვის. შემენის და მონტაჟის პროცესი დასრულდა 2024 წელს.

*დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ჯგუფის ახალ საწარმოო ხაზსა და დაუმონტაჟებელ მზის პანელებს.

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მზა პროდუქცია	30,055	22,270
ნახევრად მზა პროდუქტი	24,696	18,207
ჯართი, ნედლეული და სხვა ნაწილები	28,793	35,309
მარაგები გზაში	2,362	863
	85,906	76,649

მარაგები წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას. დეტალური ინფორმაცია უზრუნველყოფების შესახებ წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	6,549	6,728
საპროცენტო მოთხოვნა ინვესტიციებიდან	487	-
გაუფასურების რეზერვი	(3,116)	(2,135)
სავაჭრო მოთხოვნები - წმინდა	3,920	4,593
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,333	1,266
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,253	5,859

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისაგან.

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება ჯგუფის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის მომხმარებლებზე.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ინდივიდუალურად შეფასებული	მიმდინარე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი		1%	82%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა					
მთლიანი ღირებულება	2,701	1,636	62	2,150	6,549
ანარიცხი მოსალოდნელი დანაკარგზე	899	16	51	2,150	3,116

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	ინდივიდუალურად შეფასებული	მიმდინარე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181- 360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	0%	1%	3%	10%	10%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა								
მთლიანი ღირებულება	3,218	1,361	5	5	17	9	2,113	6,728
ანარიცხი მოსალოდნელი დანაკარგზე	-	14	-	1	1	6	2,113	2,135

სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული ავანსების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	2,135	2,312
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე ამობრუნება	1,049 (68)	345 (522)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	981	(177)
31 დეკემბერი	3,116	2,135

დამატებითი ინფორმაცია მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მოგება-ზარალში ასახვით მოიცავს ისეთ სავალო ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივებით ვაჭრობა.

სავალო ფასიანი ქაღალდების გამომშვებები წარმოადგენენ მეტალების გადამამუშავებელ და მომპოვებელ, ასევე საბანკო-საფინანსო სექტორში მოღვაწე კომპანიებს.

მეტალების გადამამუშავებელ-მომპოვებელ სექტორში არსებული კომპანია ძირითადად ჩართულია სპილენძის, თუთიის, ალუმინისა და რკინის საბადოს ბიზნესებში. სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება გამოქვეყნებულ საბაზრო ფასს და ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს "B+"-ს S&P Global Ratings-ის მიხედვით, დასრულების პერიოდი კი 2026 და 2028 წელია. ფასიანი ქაღალდების ნაადრევი გამოსყიდვა მოხდა 2025 წელს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ 23-ე შენიშვნა.

საბანკო-საფინანსო სექტორში არსებული კომპანიები ავითარებენ საცალო და პერსონალური ბანკინგის მიმართულების პროდუქტებს და სერვისებს, ციფრული ეკოსისტემის დახმარებით კი მომხმარებელს სთავაზობენ მარტივ და ინოვაციურ ფინანსურ გადაწყვეტილებებს მათ მოთხოვნილებებზე დაყრდნობით. სავალო ფასიანი ქაღალდების სამართლიანი ღირებულება ეფუძნება გამოქვეყნებულ საბაზრო ფასს და ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს "BB-"-ს FitchRatings-ის მიხედვით. სავალო ფასიანი ქაღალდების დასრულების პერიოდი არ არის განსაზღვრული (უვადო).

აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდების კუპონის განაკვეთის დიაპაზონი 9.25%-დან 13.875%-მდეა. (2023: 9.25%-დან 11.125%-მდე)

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

9. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ცვლილება წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	35,251	31,438
ფულადი ნაკადები		
სავალო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა	20,084	5,650
სავალო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა	(5,636)	-
სავალო ფასიანი ქაღალდების ნაწილობრივი გამოსყიდვა	(4,622)	-
მიღებული პროცენტი	(6,444)	(4,247)
არაფულადი ნაკადები		
საპროცენტო შემოსავალი	7,654	5,662
წმინდა ცვლილება სავალო ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების სამართლიან ღირებულებაში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით და გადაფასების ეფექტი	20,315	(3,252)
მოგება სავალო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობიდან	17	-
31 დეკემბერი	66,619	35,251

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	34	26
საბანკო ანგარიშები ლარში	6,479	9,325
საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	5,036	12,814
საბანკო ანგარიშები არარეზიდენტ ბანკში უცხოურ ვალუტაში	6,124	-
	17,673	22,165

ჯგუფის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფულადი სახსრების ძირითადი ნაწილი იყო განთავსებული ბანკებში, რომელთაც Fitch-ის რეიტინგების მიხედვით მინიჭებული ჰქონდათ სტაბილური პროგნოზირების რეიტინგები B (მოკლევადიანი რეიტინგი) და BB- (გრძელვადიანი რეიტინგი). არარეზიდენტი ბანკი Fitch-ის რეიტინგების მიხედვით არ არის შეფასებული.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის ფულადი სახსრების ძირითადი ნაწილი იყო განთავსებული ბანკებში, რომელთაც Fitch-ის რეიტინგების მიხედვით მინიჭებული ჰქონდათ სტაბილური პროგნოზირების რეიტინგები B (მოკლევადიანი რეიტინგი) და BB- (გრძელვადიანი რეიტინგი).

11. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის გამოცხადებული და სრულად შევსებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,098 ათას ლარს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 1-ლი შენიშვნა.

დამფუძნებელთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, 2024 წელს გამოცხადდა დივიდენდი 50,000 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წელს ჯგუფში არ გამოცხადებულა დივიდენდები.

ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

11. საწესდებო კაპიტალი და განაწილებელი მოგება (გაგრძელება)

დივიდენდის სახით განაწილებულ დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი და მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024
გამოცხადებული დივიდენდი (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით - 5%)	50,000
ჩათვლის უფლებით განაწილებული დივიდენდი	(4,438)
დაბეგვრას დაქვემდებარებული დივიდენდი	45,562
გადასახდელი მოგების გადასახადი (დაბეგვრადი განაწილებული დივიდენდი/0.85*0.15)	(8,040)
მოგების გადასახადის ხარჯი	(8,040)

12. მიღებული სესხები და ობლიგაციები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები *	54,360	22,508
ობლიგაციები**	56,839	54,072
	111,199	76,580

* ყველა სესხი მიღებულია ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან.

2024 წელს მიღებული სესხები წარმოდგენილია აშშ დოლარსა და ლარში. სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობს შუალედში 8%-12.8%.

2023 წელს მიღებული სესხები წარმოდგენილია აშშ დოლარში. აშშ დოლარში დენომინირებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მერყეობდა შუალედში - 5.1%-5.9%+6 თვიანი SOFR განაკვეთი, მაგრამ არანაკლებ 5.1-5.9%-ისა და ერთ სესხზე დადგენილი იყო 6.5%-იანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი აკმაყოფილებდა ყველა ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვას.

**2024 წელს ჯგუფს არ გამოუცია ობლიგაციები. 2023 წლის 21 აპრილს ჯგუფმა, ქართული საბროკერო ფირმის სს „გალტ ენდ თაგარტის“, როგორც საბროკერო აგენტის დახმარებით, გამოსცა ფიქსირებულ კუპონიანი მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები, მთლიანი ნომინალური ღირებულებით 37,710 ათასი ლარი (15 მილიონი აშშ დოლარი). ობლიგაციებზე ირიცხება წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 9%-ის ოდენობით და მათი დაფარვის ვადაა ორი წელი. პროცენტის გადახდა ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ. ამასთან, 2023 წლის 13 დეკემბერს ჯგუფმა განათავსა დამატებით 13,367 ათასი ლარი (5 მილიონი აშშ დოლარის) ღირებულების ობლიგაციები, რომლებსაც ერიცხება 8.50% წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კვარტალური გადახდებით.

პირველი ტრანშის მოცულობიდან 5 მილიონი აშშ დოლარი და მეორე ტრანშის სრული მოცულობა, 5 მილიონი აშშ დოლარი, მოხმარდა საწარმოო დანადგარების ოპტიმიზაციასა და ახალი ენერგოეფექტიანი დანადგარების შეძენასა და დანერგვას. პირველი ტრანშის დარჩენილი თანხა, 10 მილიონი აშშ დოლარი, სრულად მოხმარდა არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

ობლიგაციები არის მდგრადობასთან დაკავშირებული და განსაზღვრული აქვს კონკრეტული ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPI). ძირითადი შესრულების ინდიკატორებთან შეუსაბამობის შემთხვევაში კუპონის ყოველწლიური ზრდა იქნება 0.25% წლიურ (25 საბაზისო პუნქტი). 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი აკმაყოფილებს ყველა არაფინანსურ შეზღუდვას. ობლიგაციები სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ობლიგაციების და მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან. დამატებითი ინფორმაცია ობლიგაციებისა და მიღებული სესხების ლიკვიდურობისა და ვალუტის შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

მიღებული სესხების და ობლიგაციების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილების დეტალური ჩაშლა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

12. მიღებული სესხები და ობლიგაციები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	54,360	8,895
მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	-	13,613
სულ მიღებული სესხები	54,360	22,508
ობლიგაციების მოკლევადიანი ნაწილი	56,839	762
ობლიგაციების გრძელვადიანი ნაწილი	-	53,310
სულ ობლიგაციები	56,839	54,072
სულ მიღებული სესხები და ობლიგაციები	111,199	76,580

გადასახდელი პროცენტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელი პროცენტი ობლიგაციებზე	796	762
გადასახდელი პროცენტი მიღებულ სესხებზე	45	99
	841	861

ცვლილებები მიღებულ სესხებში და ობლიგაციებში 2024 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	2024		
	მიღებული სესხები	ობლიგაციები	სულ
1 იანვარი	22,508	54,072	76,580
ფულადი ნაკადები			
სესხის მიღება	121,163	-	121,163
სესხის ძირისა და პროცენტის დაფარვა	(90,473)	(4,825)	(95,298)
არაფულადი ნაკადები			
საპროცენტო ხარჯი	1,179	3,332	4,511
დაკაპიტალიზებული პროცენტი	-	1,601	1,601
საკურსო სხვაობის ეფექტი	(17)	2,659	2,642
31 დეკემბერი	54,360	56,839	111,199

ცვლილებები მიღებულ სესხებში და ობლიგაციებში 2023 წლის განმავლობაში არის შემდეგი:

	2023		
	მიღებული სესხები	ობლიგაციები	სულ
1 იანვარი	105,832	-	105,832
ფულადი ნაკადები			
სესხის მიღება/ობლიგაციების გამოშვება	174,321	50,518	224,839
სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა	(259,272)	(1,782)	(261,054)
არაფულადი ნაკადები			
საპროცენტო ხარჯი	4,932	2,629	7,561
საკურსო სხვაობის ეფექტი	(3,305)	2,707	(598)
31 დეკემბერი	22,508	54,072	76,580

ადგილობრივი ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული და სამომავლო ნედლეული, ცეცხლგამძლე სამშენებლო მასალა, სხვა ინვენტარი, ნახევრად გადამუშავებული და გადამუშავებული საქონელი, შესაბამისი გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებში განსაზღვრული ღირებულებებით.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	7,478	5,765
გრძელვადიანი აქტივებისათვის გადასახდელი ვალდებულებები	3,804	5,117
გაყიდვების ბონუსის ვალდებულება*	1,092	161
სახელფასო ვალდებულებები	1,550	781
	13,924	11,824
არაფინანსური ვალდებულებები:		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15,628	11,844
	29,552	23,668

*გაყიდვების ბონუსი წარმოადგენს ინდივიდუალური პირისთვის ასანაზღაურებელ თანხას საშუამავლო/საბროკერო და წარმომადგენლობითი მომსახურებისთვის, რომლის მიზანს წარმოადგენს ჯგუფის სახელით არმატურის მესამე პირებზე რეალიზება საქართველოში.

სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც აღიარებული იყო წლის დასაწყისში 11,844 ლარის ოდენობით, აღიარდა ამონაგებად 2024 წელს.

14. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 10,409 ათასი ლარი (ვალდებულება) და 344 ათასი ლარი (აქტივი).

15. ამონაგები

	2024	2023
<i>ამონაგები შეიძლება დაიყოს შემდეგ სეგმენტებად:</i>		
ადგილობრივი გაყიდვები	257,541	277,747
უცხოური გაყიდვები	7,340	3,614
	264,881	281,361

საწარმო მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებებს ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში.

16. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
მოხმარებული მარაგი მასალა	(188,993)	(206,384)
ელექტრო-ენერგიისა და საწვავის მოხმარება	(24,851)	(25,608)
სახელფასო და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(8,682)	(8,105)
ცვეთა	(3,643)	(3,398)
სხვა მომსახურება	(2,591)	(614)
წმინდა ცვლილება ნაწარმოებ არმატურასა და ლითონის ნახევარფაბრიკატში	14,435	(5,990)
სხვა მასალების გაყიდვის თვითღირებულება	(1,391)	(1,299)
	(215,716)	(251,398)

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

17. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
გაყიდვების ბონუსის ხარჯი	(1,563)	(1,655)
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი	(539)	(626)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	(272)	(240)
	(2,374)	(2,521)

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
თანამშრომლების ხელფასები და სხვა სარგებელი	(6,397)	(6,575)
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	(981)	-
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები*	(980)	(708)
ცვეთა და ამორტიზაცია	(693)	(579)
მანქანა-დანადგარების მიმდინარე შეკეთების და დაზღვევის ხარჯი	(495)	(297)
საგადასახადო ხარჯი	(382)	(254)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(211)	(540)
საკომუნიკაციო ხარჯი	(128)	(101)
საქველმოქმედო ხარჯები	(122)	(184)
მივლინების ხარჯი	(88)	(143)
კომუნალური ხარჯი	(83)	(260)
საბანკო ხარჯი	(81)	(146)
ოფისის ხარჯი	(39)	(29)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(25)	(28)
სხვა	(505)	(817)
	(11,210)	(10,661)

*აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2024 წელს შეადგინა 93 ათასი ლარი (2023: 79 ათასი ლარი).

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებასა და სხვა სარგებელზე ინფორმაციისთვის იხილეთ 22-ე შენიშვნა.

19. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
ფინანსური შემოსავალი ფინანსური ინსტიტუტებიდან	900	1,870
ფინანსური შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	7,654	5,662
თანხმობის საფასური*	351	-
ფინანსური შემოსავლები სხვა კონტრაგენტებისგან	58	-
	8,963	7,532

* ჯგუფს, როგორც ობლიგაციების მფლობელს, გადაუხადეს თანხმობის საფასური, რაც დაკავშირებულია ობლიგაციების ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან.

20. გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება

ჯგუფის გაცემული სესხები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ძირი	25,910	19,655
პროცენტი	-	-
	25,910	19,655
გაუფასურების რეზერვი	(25,910)	(19,655)
სულ გაცემული სესხები	-	-

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე და წარმოდგენილია ლარში. სესხის დაფარვის ვადას წარმოადგენს 2027 წლის ივლისსა და 2028 წლის დეკემბერს. მხარეთა შეთანხმებით, სესხი შეიძლება დაფარულ იქნას ვადაზე ადრე.

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. პერიოდის განმავლობაში აღიარებული სესხების საკრედიტო ზარალის ანარიცხზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები მესამე ეტაპზეა. დამატებითი ანარიცხი პერიოდის განმავლობაში აღიარებულია ახალი გაცემული სესხებისთვის.

2024 წელს ჯგუფმა შეაფასა გაცემულ სესხებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარა გაუფასურების რეზერვი 6,255 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წელს გაუფასურების რეზერვი შემცირდა 1,873 ათასი ლარის ოდენობით, რადგანაც კონტრაგენტმა გადაიხადა გაცემული სესხის ძირის ნაწილი.

ჯგუფის მიერ გაცემული სესხებიდან არცერთია გირაოთი უზრუნველყოფილი.

21. პოტენციური ვალდებულებები**იურიდიული ვალდებულებები**

ჯგუფს ჩვეული საქმიანობის პროცესში აქვს სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე ან ჯგუფის მომავალ ოპერაციებზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, ჯგუფი გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

21. პოტენციური ვალდებულებები (გაგრძელება)

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება ჯგუფს წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 17,057 ათასი ლარი.

სესხის შეზღუდვებთან შესაბამისობა

2024 წელს ჯგუფს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებით არ მოეთხოვება ფინანსური თუ არაფინანსური შეზღუდვების დაკმაყოფილება. ჯგუფი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდა ყველა შეზღუდვას. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-12 შენიშვნა.

გაცემული საბანკო გარანტია

ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა პირობითი ვალდებულება გაცემული საბანკო გარანტიის, რომელიც შეადგენდა 5,052 ათას ლარს. ჯგუფს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ უფიქსირდება მნიშვნელოვანი ღირებულების გაცემული საბანკო გარანტიები.

თანამსესხებლობა

2024 წელს ჯგუფი არის დაკავშირებული მხარის მიერ სს „ლიბერთი ბანკისგან“ მიღებული სესხის თანამსესხებელი. სესხის ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,878 ათას ლარს. თუ დაკავშირებული მხარე ვერ გადაიხდის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სესხის მომსახურება მოუწევს შპს „ჯეოსთილს“. ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის სესხი დაკავშირებულ მხარეს სრულად აქვს დაფარული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ ყოფილა თანამსესხებელი.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება განვითარების ეტაპზეა და სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი ზომები მუდმივად გადახედვას ექვემდებარება. ჯგუფი პერიოდულად ახდენს თავისი ვალდებულებების შეფასებას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად. ვალდებულებების განსაზღვრისთანავე მათი დაუყოვნებლივი აღიარება ხდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა მოქმედი რეგულაციების ცვლილების შედეგად წარმოიშვას, შეფასებას არ ექვემდებარება, თუმცა შესაძლოა, რომ არსებითი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ არ არსებობს არსებითი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფი შესაბამისობაშია რეგულაციურ მოთხოვნებთან, პერიოდულად კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ანგარიშის წარდგენით.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც მოცემულია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;
- ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(‘000 ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა	957	57
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	სხვა	(957)	(57)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა	1,092	161

სრული შემოსავლის ანგარიშგება	დაკავშირებული მხარეები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ამონაგები	სხვა	103	67
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	სხვა	(1,563)	(1,655)
გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	სხვა	6,255	1,873
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	სხვა	(900)	(57)

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას, სამიწვინებო და სხვა ხარჯების სახით. ხელმძღვანელობის მთლიანმა ანაზღაურებამ შეადგინა 2,487 ათასი ლარი (2023: 2,460 ათასი ლარი).

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა მიიღო ნაადრევი გამოსყიდვის თანხები Vedanta Resources ობლიგაციებიდან 22,825 ათასი აშშ დოლარის ოდენობით 2025 წლის 27 იანვარს.

ჯგუფმა გასცა სესხი დაკავშირებულ მხარეზე 4,455 ათასი ლარის ოდენობით.

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

შინაარსი:

1. შპს „ჯეოსთილის“ შესახებ.....	40
2. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	40
3. რისკები და მათი მართვა.....	41
4. კვლევა და ახალი პროდუქტის განვითარება.....	44
5. დაგეგმილი პროექტები და კაპიტალური დანახარჯების ძირითადი გეგმა.....	44
6. ინფორმაცია ფილიალებზე.....	44
7. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.....	44
8. გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები.....	44
9. თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები.....	45
10. ანტიკორუფციული საკითხები.....	45

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

საქმიანობის მიმოხილვა

1. შპს „ჯეოსთილის“ შესახებ

შპს „ჯეოსთილი“ დაფუძნდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია და საქმიანობს საქართველოში. მისი ოფისი და საწარმოო ქარხანა რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე - საქართველო, რუსთავი 3700, დავით გარეჯის ქუჩა 36.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

- 90% - Georgian Steel Group Holdings Limited („GSGHL“);
- 10% - JSW steel (ჰოლანდია).

ბიზნეს საქმიანობა

კომპანია აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას:

- **სამშენებლო არმატურა**, რომელიც იწარმოება თერმო-მექანიკური მეთოდით, ელექტრო რკალური ღუმელის მეშვეობით;
- **ფოლადის ნაშადი** (მზადდება შავი ლითონის ჯართისგან).

2009 წლიდან შპს „ჯეოსთილი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ ფოლადის მწარმოებელ კომპანიას საქართველოში.

შპს „ჯეოსთილი“ არის თერმომექანიკურად დამუშავებული სამშენებლო ფოლადის არმატურის და გლინულას ცნობილი მწარმოებელი. პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად კომპანია იყენებს უახლეს ტექნოლოგიას, მათ შორის სრულად ავტომატიზირებულ ჟანგბადის საამქროს, ელექტრო-რკალურ ღუმელს, დნობის გაუმჯობესებულ სისტემას, უწყვეტ ჩამოსასხმელ დანადგარს, თანამედროვე ლაბორატორიულ მოწყობილობებს და საგლინავი საამქროს ზუსტი კონტროლს მექანიზმს.

შპს „ჯეოსთილი“ არის პირველი კომპანია ამიერკავკასიის რეგიონში, რომლის მიერ წარმოებულ პროდუქტსაც მიენიჭა “UK Cares”-ის სერტიფიკატი. კომპანიას მინიჭებული აქვს სერტიფიკატები „თურქული სტანდარტების ინსტიტუტისგან“ (Turkish Standards Institute) და ინდური სტანდარტების ბიუროსგან (Bureau of Indian Standard). ჩვენ ვართ მომხმარებლებზე ორიენტირებულნი და ამიტომ, მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ვაწარმოებთ სხვადასხვა სახეობის და სტანდარტის არმატურას.

2023 წელს კომპანიამ დაარსა შვილობილი საწარმო შპს „ჯეოსქრეფი“ (416376807), რომელშიც ფლობს 100%-იან წილს. შვილობილს 2024 და 2023 წელს არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები და საანგარიშგებო წლის ბოლოს არ ფლობდა არსებით აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისად, ჯგუფის 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებითად არ განსხვავდებოდა შპს „ჯეოსთილის“ მოცემული ფინანსური ანგარიშგებისგან.

2. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(მონაცემები მოცემულია ‘000 ლარებში)

	2024	2023
ექსპორტი	7,340	3,614
ადგილობრივი რეალიზაცია	257,541	277,747

ძირითადი ფინანსური შედეგები:

	2024 (მლნ.ლარი)	2023(მლნ.ლარი)
მთლიანი გაყიდვები	264.88	281.36
მიღებული სესხების ნაშთი	111.20	76.58
ინვესტიციები საწარმოო დანადგარებში და აღჭურვილობაში	15.82	26.7
გადახდილი გადასახადები	39.3	41.8
გადახდილი დივიდენდები	50.0	-

2. 2024 წლის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ჯგუფმა განაგრძო ახალი ინვესტიციების განხორციელება საოპერაციო დანახარჯების და განახლებადი ენერგიის პროექტების მიმართულებით.

ჩვენ მიერ წარმოებული არმატურის ძირითადი ბაზარია საქართველო და მეზობელი ქვეყნები, როგორცაა აზერბაიჯანი და თურქეთი, ასევე თურქმენეთი.

2024 წელმა აჩვენა არმატურის რაოდენობის სტაბილური გაყიდვები. ჯგუფი აგრძელებს ინვესტიციებს განახლებადი ენერგიის პროექტებში, მათ შორის მზის პანელებში.

ფინანსური მაჩვენებლების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, გაეცნოთ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია შპს „ბიდიო აუდიტი“-ს მიერ, BDO International Limited-ის წევრი, გაერთიანებული სამეფოს კომპანია, რომელიც შეზღუდულია გარანტიით და წარმოადგენს დამოუკიდებელი წევრი ფირმების საერთაშორისო BDO-ს ქსელის ნაწილს. ფინანსური მაჩვენებლები აღებულია აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან, რომელიც შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

3. რისკები და მათი მართვა

➤ მაკროეკონომიკური რისკი

- გადატვირთული საწარმოო სიმძლავრეები და მიწოდება მსოფლიო ფოლადის ბაზარზე და გაზრდილი იმპორტი შესაძლოა უარყოფითად აისახოს ფოლადის ფასებზე, რაც თავისთავად, გავლენას იქონიებს მოგებაზე;
- სიახლეები გლობალური ბიზნესის კონკურენტულ გარემოში და კონკურენტების შესაძლო კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მიზნებზე;
- ქვეყანაში მოსალოდნელზე დაბალმა ეკონომიკურმა ზრდამ შესაძლოა მიგვიყვანოს მოსალოდნელზე დაბალ რეალიზაციამდე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- ალტერნატიული ბაზრების მოძიება/განვითარება.
- პროდუქტების სახეების დივერსიფიკაცია;
- დარგში მიმდინარე ტენდენციების და აქტუალური საკითხების შესწავლა;
- საექსპორტო ბაზრების გაძლიერებაზე მუშაობა;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე ფოკუსირება, მასალის მაღალ ხარისხზე სანდოობის შენარჩუნების მიზნით.

➤ ფინანსური რისკები

- სავალუტო კურსების რყევებმა ფინანსურ ბაზრებზე არსებული არასტაბილური მდგომარეობის შედეგად, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის სესხის მომსახურებაზე და გამოიწვიოს გაურკვევლობა ფინანსური ბაზრების შეფასებისას;
- ცვლილებებმა შეფასებებში, რომლებიც საფუძვლად უდევს გარკვეული აქტივების საბალანსო ღირებულებას, შესაძლოა იმოქმედოს ასეთი აქტივების გაუფასურებაზე;
- დებიტორული სახსრების დროულმა მიუღებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო რისკი.

3. რისკების მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვის სტრატეგიები:

- სავალუტო კურსების ჰეჯირების შესაბამისი პოლიტიკა; რისკების შემცირების მიზნით ჯგუფი ხშირად ახორციელებს აშშ დოლარის შეძენას კლიენტებისგან მიღებული ლარის გაყიდვით.
- საქმიანობის დაგეგმვის და ფულადი ნაკადების პროგნოზირების გაერთიანება ლიკვიდობის მართვის ამოცანაში;
- ჯგუფი აწარმოებს რეგულარულ შეხვედრებს გაყიდვების/ფინანსების გუნდთან, რათა მოხდეს დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის შეფასება და სათანადო ზომების მიღება საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- ჯგუფი ცდილობს მომხმარებლებთან ხელშეკრულების დადებას წინასწარი გადახდის პირობით, ამიტომ მოთხოვნის თანხების ამოღების რისკი ნაკლებია.

➤ საკანონმდებლო რისკები

- გარემოს დაცვის კანონმდებლობის მზარდ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს რეპუტაციაზე და გამოიწვიოს ვალდებულებების ზრდა;
- სავაჭრო შეზღუდვებმა (ისეთებმა, როგორიცაა მაგალითად, ანტი-დემპინგური კანონები და სხვ.) შესაძლოა შეცვალოს ჯგუფის ბიზნესი და მისი გეგმები.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- შესაბამისობაზე ფოკუსირება;
- დარგში მომუშავე ასოციაციებთან და გაერთიანებებთან თანამშრომლობა, რათა გამარტივდეს მოთხოვნები და პოლიტიკა, ადგილობრივი ბიზნესის დასაცავად;
- კანონმდებლობაში მიმდინარე პროცესების აქტიური მონიტორინგი;
- აქტიური მუშაობა ახალ ბაზრებზე, კლიენტებზე და ექსპორტის ზრდა.

➤ საოპერაციო რისკი

- ფოლადის მრეწველობას ახასიათებს მუდმივი დანახარჯების მაღალი დონე და ნედლეულის და ბუნებრივი რესურსების ფასების ცვალებადობა. ნედლეულის მომარაგების შეზღუდვები ან წყვეტა გავლენას ახდენს ჯგუფის მომგებიანობაზე;
- დანადგარების მუშაობის შეფერხებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საწარმოო ოპერაციებზე;
- უსაფრთხოების წესების დარღვევამ, შეუთანხმებელმა მოქმედებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმები, რომლებსაც მოჰყვება შრომის უნარიანობის დაკარგვა, წარმოების გაჩერება, აქტივების დაზიანება და საბოლოო ჯამში, რეპუტაციის გაუარესება.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- მიწოდების ალტერნატიული წყაროებისა და შემცვლელი პროდუქტების მოძიება. ჯგუფში უსაფრთხოების წესების დაცვა და გაძლიერება სპეციალური დეპარტამენტის საშუალებით;
- პერსონალის პერიოდული სწავლება უსაფრთხოების წესების კუთხით;
- მანქანა-დანადგარები სრულად არის დაფარული მწყობრიდან გამოსვლის და ბიზნესის შეფერხების დაზღვევით, მანქანებთან დაკავშირებით ნებისმიერი რისკის შესამცირებლად;
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ჯგუფისთვის პრიორიტეტია, ჩვენ მკაცრად ვაკვირდებით ჩვენი წარმოებული პროდუქციის ხარისხს;
- სამუშაო ადგილის უსაფრთხოება ჯგუფისთვის პრიორიტეტულია და უშუალოდ აკონტროლებს ჯგუფის გენერალური დირექტორი;
- მუშები დაზღვეულნი არიან შემთხვევით ზიანზე.

3. რისკების მართვა (გაგრძელება)

➤ საბაზრო რისკები

- ფოლადის მრეწველობა ციკლური ბიზნესია და ნედლეულის ფასების ხშირმა ცვალებადობამ შესაძლოა არასასურველი მოქმედება იქონიოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- შემცველი პროდუქტების კონკურენტუნარიანობამ ან საწარმოო პროცესების ცვლილებამ, შესაძლოა მიგვიყვანოს პროდუქტზე მოთხოვნის შემცირებამდე, რაც გამოიწვევს ბაზრის წილის დაკარგვას;
- მესამე მხარეებისგან დავალიანების მოთხოვნამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსებზე;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული/მხარდაჭერილი/დაწინაურებული კომპანიები ქმნიან არათანაბარ კონკურენტულ გარემოს. მათ ქონდათ და აქვთ გავლენა ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- დამატებითი ღირებულების მომცემი პროდუქტების/შემცველი პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის დახვეწა;
- ხარისხის პოლიტიკის გაძლიერება;
- ჯგუფი რეგულარულად ახდენს რეორგანიზაციებს და ხარჯების შემცირებას, ხარჯების შემცირებისა და გაყიდვებიდან ამონაგების გაზრდის მიზნით;
- ჯგუფმა მთავრობის ორგანოებს წარუდგინა ანტიდემპინგური და ასევე, სხვა მიდგომები ადგილობრივი ბაზრის დასაცავად.
- ფოლადის პროდუქტის მდგრად განვითარებაზე ფოკუსირება, საწარმოს განახლებით და ახალი პროექტებით.

➤ სოციალური რისკი

- ნებისმიერი უთანხმოება თანამშრომლებს შორის ან სოციალური მდელვარება იმ რეგიონში, რომელშიც საქმიანობს ჯგუფი იწვევს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას;
- უმაღლესი რგოლის მენეჯერების დენადობამ ან კადრების მოზიდვის და შენარჩუნების უუნარობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჯგუფზე.

რისკის მართვის სტრატეგიები:

- ურთიერთობების დამყარება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ გავლენიან ადამიანებთან;
- უმაღლესი რგოლის მენეჯერების წახალისების დაგეგმვა ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ნიჭის მოზიდვის და შენარჩუნებისთვის;
- ჯგუფი ახორციელებს სხვადასხვა CSR აქტივობას და თანამშრომლებს შორის დონაციებს/შემოწირულობებს.
- დასაქმების საწყის ეტაპზე თანამშრომელს ეძლევა საშუალება სამუშაო პროცესში ჩართულობით გაიღრმავოს ცოდნა.
- დასაქმებულს ეძლევა ჯანმრთელობის დაზღვევა მომსახურე სადაზღვევო ჯგუფისაგან, მომსახურების ნახევარი ღირებულებით.
- ადამიანური რესურსების დეპარტამენტი ატარებს შეხვედრებს თანამშრომლებთან, რათა განიხილონ ნებისმიერი საკითხი.

4. კვლევა და ახალი პროდუქტის განვითარება

ინოვაცია არაფერია ხარისხის გარეშე, ამიტომ ჩვენ საკმაოდ დიდ რესურსს ვხარჯავთ იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩვენ მიერ წარმოებული არმატურა აკმაყოფილებს სტანდარტებს, რომლებსაც მომხმარებლები და სხვა მხარეები ითხოვენ. მომხმარებლების მოთხოვნები საზღვრავს პროდუქტის განვითარებას. ჩვენ ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით ღირებულების დამატებით ასპექტებს.

შპს „ჯეოსთილი“ დიდ ყურადღებას აქცევს თავისი დანადგარების და აღჭურვილობის საოპერაციო საიმედოობას და ხარისხთან შესაბამისობას. შესაბამისად, კალიბრაციის და ტექნიკური მხარდაჭერის სერვისებს ვუკვეთავთ წამყვანი საერთაშორისო კომპანიებისგან. ჯგუფი აღჭურვილია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით, საწარმოს საჭიროებიდან გამომდინარე.

ჯგუფი მუშაობს არმატურის დამატებით პროდუქტზე - გლინულაზე და ეს პროექტი გაერთიანებულია არმატურის პირდაპირი გლინვის მეთოდით წარმოების პროექტთან.

5. დაგეგმილი პროექტები და კაპიტალური დანახარჯების ძირითადი გეგმა

როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი პირდაპირი უცხოური სამრეწველო ინვესტიცია საქართველოში, ჯეოსთილი ფოკუსირებულია ადგილობრივი ადამიანური რესურსების ზრდისა და განვითარების ხელშეწყობაზე და მზად არის გააფართოოს ბიზნეს პროცესები ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პრაქტიკის დანერგვისას.

ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს მდგრადობაზე მზის პანელების პროექტის და პირდაპირი გლინვის პროექტის სახით, რაც ხელს შეუწყობს ნახშირბადის ნაკვალევის შემცირებას.

ამ მიზნით, ჯგუფმა ასევე გამოუშვა მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების პირველი ტრანში 2023 წლის აპრილში და მეორე ტრანში 2023 წლის დეკემბერში, რომელიც სრულად იქნა ათვისებული ინვესტიორების მიერ. შესაბამისი დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია ჯგუფის ვებგვერდზე და საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

6. ინფორმაცია ფილიალებზე

შპს „ჯეოსთილი“ საქმიანობს ცენტრალიზებულად რუსთავეში და არ გააჩნია ფილიალები.

7. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

საანგარიშო წლის განმავლობაში არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

8. გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები

ჩვენი მიზანია გარემოსთვის მიყენებული ზიანის მინიმიზაცია და ამ კუთხით ჩვენ ვაკმაყოფილებთ საზედამხედველო ორგანოების მხრიდან წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

- საქართველოში, შესაბამის დარგში, ჩვენ ვართ პირველები, ვინც მოიპოვა ISO : 140001 & OSHAS : 18001 სერტიფიკატი;
- ჯგუფი სერტიფიცირებულია BDS 9252 : 2007 and BDS EN 10080 : 2005 სტანდარტებით ყველა ტიპის არმატურაზე 8მმ-დან 32მმ-მდე Detal-ის მიერ.
- 2012 წლის სექტემბერში ჯგუფმა დაამონტაჟა რადიოაქტიური აპარატურა შემომავალი ჯართის შემოწმების მიზნით, რათა მზა პროდუქტს არ ქონდეს რადიაციული გამოსხივება.
- ჯგუფი ასევე აკრედიტებულია UK Cares-ით, თურქეთის სტანდარტით, არმატურის ხარისხზე პროდუქტის ინდური სტანდარტის ბიურო-ს მიერ.
- ჯეოსთილი მიჰყვება საფრთხის ზემოქმედების რისკის შეფასების (HIRA) პროცესს ქარხნის აღჭურვილობისა და პროცესისთვის.
- წარმოების მიზნებისთვის წყალს მოვიხმართ მაქსიმალურად ეკონომიურად და ვიცავთ “ჩაკეტილი კონტურის რეგირკულაციის“ სისტემას;
- გარემოს დაცვის შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩვენ დავამონტაჟეთ ღუმელის გამონაბოლქვის უახლესი გამწოვი სისტემები;
- კვარტალურად ვამზადებთ „გამონაბოლქვის ანგარიშს“;

8. გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხები (გაგრძელება)

- პერიოდულად ვამოწმებთ ხმაურის დონეს;
- საწარმოში მოქმედებს ნარჩენების მართვის გამართული სისტემა, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად;
- ჩვენ დავიქირავეთ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მენეჯერი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

9. თანამშრომლები და სხვა სოციალური საკითხები

ჯეოსთილი დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანური რესურსების განვითარებას. ჩვენი თანამშრომლები ორიენტირებული არიან შიდა სწავლებაზე, რათა აიმაღლონ კვალიფიკაცია თავიანთი ფუნქციების წარმატებით შესასრულებლად.

საშუალო რგოლის მენეჯერები ატარებენ სწავლებებს დამწყები თანამშრომლებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი პროფესიული განვითარება. ჩვენი პოლიტიკაა გამოცდილი თანამშრომლების შენარჩუნება და ამავდროულად, ახალგაზრდა თანამშრომლებისთვის განვითარების შესაძლებლობის მიცემა.

თავისი სამომავლო და განვითარების გეგმებით, შპს „ჯეოსთილი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნაში, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის და კეთილდღეობის განვითარებაში. გარდა ამისა, ჯგუფი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაში, 2024 წელს ჯგუფმა 39.3 მლნ. ლარის გადასახადები დაადეკლარირა.

რაც შეეხება სოციალური მიზნების განხორციელებას, წინა წელს ჩვენ გავწიეთ დახმარება რუსთავის სკოლებში საკლასო ოთახების გარემონტებაში და დავაფინანსეთ კულტურული ღონისძიებები. ჯგუფი ფინანსურ დახმარებას უწევდა სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ზრუნავდნენ საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენაზე.

ჯგუფმა 2024 წლის განმავლობაში გამოყო 122,000 ლარი (2023: 183,981 ლარი), სხვადასხვა სოციალური და საქველმოქმედო მიზნებისთვის.

10. ანტიკორუფციული საკითხები

ჩვენ ვაწარმოებთ ბიზნესს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით, სადაც კორუფციას და ქრთამს არ აქვს ადგილი.

ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომხმარებლები, მომწოდებლები და დანარჩენი დაკავშირებული მხარეები იმოქმედებენ ჩვენი პოლიტიკის შესაბამისად.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

2021 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის პირველი იანვრიდან.

საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები ვალდებული არიან უზრუნველყონ ჯგუფის კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა და შესაბამისი ანგარიშის პირველადი წარდგენა უზრუნველყონ 2024 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის (არაუგვიანეს 2025 წლის 15 მაისი).

შპს „ჯეოსთილი“, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს, შექმნილი აქვს კორპორაციული მართვის კოდექსი ჯგუფის წესდების ფარგლებში რომელიც მოიცავს კორპორაციული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; ჯგუფის წესდება საჯარო, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა.

1. ჯგუფის მმართველობის ორგანოები

შპს ჯეოსთილს ყავს შემდეგი ხელმძღვანელი ორგანოები:

- პარტნიორთა კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტი;
- დირექტორთა საბჭო;
- დირექტორები.

პარტნიორთა კრება

ჯგუფის წესდების თანახმად საზოგადოების უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ მაინც, წესდებით განსაზღვრული პირების მიერ.

პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

- ჯგუფის მიერ ნებისმიერი დივიდენდის გამოცხადება;
- წლიური ანგარიშგებების დამტკიცება და წლიური სარგებლის მიღება;
- დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება (ქვემოთ განსაზღვრული პროცესების მიხედვით), მათთან სამოსამსახურეო ხელშეკრულებების გაფორმება და შეწყვეტა, ასევე მათი დამტკიცება, დირექტორთა ანგარიშების დამტკიცება;
- ჯგუფის აუდიტორების დანიშვნა;
- დირექტორთა ანაზღაურების, მათ შორის სარგებლის განსაზღვრა;
- ჯგუფის წარმომადგენლობა დირექტორების წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო პროცესებსა და სამართალწარმოებაში;
- პარტნიორების შენატანების სრულად გადახდის მოთხოვნა;
- ზედმეტად გადახდილი შენატანების დაბრუნება;
- ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა;
- ჯგუფის რომელიმე პარტნიორის მიერ კომპანიაში მისი საკუთრების ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გადაცემა და/ან განკარგვა რომელიმე მესამე პირზე (გარდა აფილირებული პირისა), მათ შორის და არამხოლოდ, ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ შესაბამისი წილის უფლებრივად დატვირთვა;
- ჯგუფში წილობრივი საკუთრების უფლების ცვლილება;

- ჯგუფის წესდების და რეგისტრაციის მონაცემების ცვლილება;
- ჯგუფის საწესდებო კაპიტალის გაზრდა, დამატებითი სააქციო კაპიტალის გამოშვების ან ახალი/დამატებითი შენატანების გზით;
- ჯგუფის ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც არსებითად აისახება პარტნიორების და/ან ჯგუფის უფლებებსა და მოვალეობებზე;
- ჯგუფის ნებისმიერი შერწყმა, გაყოფა, გაერთიანება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ნებისმიერი გადაწყვეტილება ჯგუფის დაშლის, ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის, ან განკარგვის, გაყიდვის, ლიცენზიით გადაცემით ან ჯგუფის აქტივების ან საკუთრების უფლების ან ჯგუფის საქმიანობის სრულად ან არსებითად სრულად გადაცემის შესახებ.

უფლების განხორციელების წესი

ჯგუფის დირექტორთა საბჭომ ან ჯგუფის საწესდებო კაპიტალის მინიმუმ 10%-ის მფლობელმა უნდა გადაწყვიტონ პარტნიორთა კრების მოწვევის დრო, ადგილი და მასზე განსახილველი საკითხები. ჯგუფის ნებისმიერ პარტნიორთა კრებაზე არანაკლებ ოცდაერთი (21) სამუშაო დღით ადრე თითოეულ პარტნიორს უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება პარტნიორთა კრების შესახებ, ასეთი წერილობითი შეტყობინება გამგზავნა უნდა გაგზავნოს რეგისტრირებული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით, რომლებიც წერილის მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა. პარტნიორთა კრებას უძღვება თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს კაპიტალში წილის უმრავლესობის მფლობელი. პარტნიორთა კრების ქვორუმი შედგება იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება კაპიტალში წილის უმრავლესობის მქონე პარტნიორი. პარტნიორთა კრების ყველა გადაწყვეტილება და დადგენილება მოითხოვს იმ პარტნიორთა დასტურს, რომლებიც ფლობენ კაპიტალში წილის უმრავლესობას.

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჯგუფს ჰყავს ორი პარტნიორი:

(i) **GEORGIAN STEEL GROUP HOLDINGS LIMITED**, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებული და მოქმედი დიდი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონების შესაბამისად, იურიდიული მისამართი (რეგისტრირებული ოფისი): იამრაჯის შენობების მე-3 სართული, მარკეტ სკუერ, საფოსტო კოდი 3175, როუდ თაუნი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (3rd floor Yamraj Building, Market Square, PO Box 3175, Road Town, British Islands of Virgin), შემდგომში “GSGHL”) - ჯგუფის საწესდებო კაპიტალში 90% წილის მფლობელი.

(ii) **JSW STEEL (NETHERLANDS) B.V.**, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რეგისტრირებული და მოქმედი ნიდერლანდების კანონების შესაბამისად, იურიდიული მისამართი (რეგისტრირებული ოფისი): ჰოგოორდრეფი #15, 1101 BA, ამსტერდამი, ნიდერლანდები (Hoogoorddreef 15, 1101 BA Amsterdam, Netherlands) (კომპანიის ნომერი: BV1447108, 818357897, შემდგომში “JSW”) - ჯგუფის საწესდებო კაპიტალში 10% წილის მფლობელი.

სამეთვალყურეო საბჭო

ჯგუფში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან, რომლებიც არჩეული იქნებიან პარტნიორთა კრების მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებული არიან უფლებამოსილების განხორციელებისას იმოქმედონ ჯგუფის ბიზნეს აქტივობებისათვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ოთხი წევრიდან ერთი წევრი დამოუკიდებელი წევრია.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

- გენერალური დირექტორების დანიშვნა და გათავისუფლება, მისი ქმედებების კონტროლი; გენერალური დირექტორის ანაზღაურების და სხვა დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა;
- პოლიტიკებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამტკიცება და ცვლილება;
- ანგარიშებისა და ქონების შემოწმება, პირადად ან მოწვეული ექსპერტების დახმარებით;

კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

- ჯგუფის საქმიანობის შესახებ ანგარიშგების მოთხოვნა გენერალური დირექტორისგან და შიდა აუდიტის ან გარე შემოწმების შედეგად მოწოდებული ინფორმაციის განხილვა;
- რიგგარეშე საერთო კრებების მოწვევა საჭიროების შემთხვევაში;
- წლიური ანგარიშგების და მოგების განაწილების შესახებ წინადადებების განხილვა;
- წლიური ბიუჯეტის დამტკიცება ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- „მეწარმეთა შესახებ“ კანონითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოს კრების ნებისმიერ და ყველა გადაწყვეტილებას იღებს კრების დროს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სამეთვალყურეო საბჭოს კრების ნებისმიერი წევრი (გარდა დამოუკიდებელი წევრისა).

ყოველი კრების დასრულების შემდეგ შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იქნეს კრების ოქმი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

1. ჰარდიგ სინგი-თავმჯდომარე
2. იოსებ გორგილაძე-დამოუკიდებელი წევრი
3. ჯაიდიპ სინგ კაპურ-წევრი
4. ტარანდიპ სინგ კაპურ-წევრი
5. ჰარბაჯან სინგ კაპურ-წევრი

ჯგუფის აუდიტის კომიტეტი

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და 1 დამოუკიდებელი წევრისგან.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს მისი წევრებიდან ირჩევს ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო.

აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
- ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;
- ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას.

აუდიტის კომიტეტი შედგება მინიმუმ ოთხი წევრისაგან, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელი წევრია. დამოუკიდებელ წევრად მიიჩნევა პირი, რომელიც საწარმოსთან სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად დაკავშირებული არ არის, მათ შორის, არ ფლობს ამ საწარმოს აქციებს/წილებს და არ იღებს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის ან/და აუდიტის კომიტეტის წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა. აუდიტის კომიტეტის წევრები ვალდებული არიან იმოქმედონ ჯგუფის ბიზნესის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე თავიანთი მოვალეობების შესრულებისას.

აუდიტის კომიტეტი გამოსცემს რეკომენდაციებს ფინანსური ინფორმაციის უტყუარობის უზრუნველყოფისა და საერთო კრების მიერ შესარჩევი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ.

შპს „ჯეოსთილის“ წლიური აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ არის იმავდროულად საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი. აუდიტისთვის გადახდილმა თანხამ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეადგინა 93,000.00 ლარი (დღგ-ს გარეშე).

აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საერთო კრებას რეგულარულად წარუდგენს საქმიანობის შესახებ ანგარიშს და დაუყოვნებლივ აცყობინებს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ.

აუდიტის კომიტეტის სხდომას იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ორი წევრი. სხდომის მოწვევის მომთხოვნი წევრი ვალდებულია შესაბამისი შეტყობინება წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. აუდიტის კომიტეტი კრებას იწვევს ამ წესდების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კრების მოწვევის შესახებ წევრის შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კრების კვორუმი არსებობს, თუ სხდომას ესწრება აუდიტის კომიტეტის ნებისმიერი ორი წევრი.

აუდიტის კომიტეტის კრების ნებისმიერ და ყველა გადაწყვეტილებას იღებს კრების დროს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტის კომიტეტის სხდომის ნებისმიერი ორი წევრი.

ყოველი კრების დასრულების შემდეგ კრების ოქმი ფორმდება და ხელს ეწერება წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტის წევრებია:

1. იოსებ გორგილაძე-თავმჯდომარე, (სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი);
2. ტარანდიზ სინგ კაპურ-წევრი;
3. ჯაიდიზ სინგ კაპურ-წევრი;
4. ჰარდიგ სინგი-წევრი;

დირექტორთა საბჭო

საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტის ყოველდღიურ პოლიტიკაზე და იღებს გადაწყვეტილებას ყველა საოპერაციო და მენეჯერულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ მიეკუთვნება პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტის კომპეტენციას, მათ შორის, და არამხოლოდ:

- წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა;
- ჯგუფის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;
- ჯგუფის ფილიალების დაფუძნება და ლიკვიდაცია;
- ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- ვალდებულებების უზრუნველყოფა;
- ჯგუფის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული აქტივების განკარგვა, გაყიდვა, ლიცენზიით ან სხვაგვარად გადაცემა;
- ჯგუფის საკუთრებაში არსებული და ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნებისმიერი საკუთრების უფლების გადაცემა ან განკარგვა;
- რწმუნებულების გაცემა და გაუქმება;
- ძირითადი გამყიდველების/მიმწოდებლების დანიშვნა;
- სესხების აღება, მათ შორის დეპოზიტებით უზრუნველყოფილის; და ამ სესხების იპოთეკით და/ან სხვაგვარად უზრუნველყოფა;
- ნებისმიერი საოპერაციო და კაპიტალდაზანდებების (CAPEX) ბიუჯეტის დამტკიცება;
- ნებისმიერი შემოთავაზებული ხარჯების დამტკიცება. ისეთი ვალდებულების და/ან ინვესტიციების დაფარვა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ჯგუფის ბიუჯეტში;
- ჯგუფის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ხარჯების, ვალდებულებისა და/ან ინვესტიციის გადახდა, რომელიც აღებატება დამტკიცებული ბიუჯეტის ოდენობას;
- ხელშეკრულებების გაფორმება ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ, მათ შორის იმ კომპანიების სასარგებლოდ, რომლებშიც პარტნიორები და/ან კომპანია შეიძლება ფლობდნენ ინტერესს ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად;
- ჯგუფის საქმიანობის ნებისმიერი დივერსიფიკაცია/გაფართოება;

კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

- ჯგუფის თანამშრომლების ანაზღაურება, მათი სარგებლის ჩათვლით;
- სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
- პარტნიორთა კრების მოწვევა.

ამ მიზნით, საბჭოს შეუძლია შექმნას ან შეადგინოს დირექტორთა საბჭოს ქვეკომიტეტები, საჭიროების მიხედვით.

საბჭო შედგება 7-მდე წევრისგან (შემდგომში „დირექტორი“/ „დირექტორები“), სადაც GSGHL ნიშნავს 5-მდე დირექტორს, JSW-ს შეუძლია დანიშნოს 1 დირექტორი და ორივე პარტნიორი ერთობლივად ნიშნავს დამოუკიდებელ დირექტორს (შემდგომში „დამოუკიდებელი დირექტორი“). საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

საბჭოს ოთხ წევრი, წარდგენილი იქნება კაპიტალში წილის უმრავლესობის მფლობელის მიერ. საბჭოს ერთი წევრი არის გენერალური დირექტორი, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო. ჯამში ჯგუფს ეყოლება ოთხი დირექტორი (მათ შორის ერთი გენერალური დირექტორი). ოთხივე დირექტორს აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და წარმოადგენს ჯგუფს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში (შემდგომში „ხელმოწერი“/„ხელმოწერები“). ხელმოწერები უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ჯგუფის სახელით. პარტნიორთა . სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება საბჭოს სამი წევრი, რომლებსაც ექნებათ წარმომადგენლობის უფლებამოსილება და რომლებიც წარმოადგენენ ჯგუფს ამ მუხლისა და ამ წესდების სხვა დებულებების შესაბამისად.

პარტნიორთა კრება უფლებამოსილია დანიშნოს საბჭოს 3-მდე დამატებითი წევრი (შემდგომში „ასოცირებული წევრი“), დანიშნული საბჭოს წევრი დირექტორების გარდა, რომლებსაც ექნებათ მხოლოდ საკონსულტაციო უფლებამოსილება საბჭოს სხდომებზე.

საბჭოს სხდომის (შემდგომში „საბჭოს სხდომა“) მოწვევა შეუძლია ნებისმიერ დირექტორს, სხვა დირექტორების სულ მცირე ოცდაერთი (21) სამუშაო დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

სხდომის ქვორუმი შედგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება ან წარმოდგენილია მინიმუმ ერთი დირექტორი, რომელსაც ნიშნავს კაპიტალში წილის უმრავლესობის მფლობელი, ხოლო სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და დადგენილება საჭიროებს სხდომაზე დამსწრე იმ დირექტორთა უმრავლესობის მიერ დამტკიცებას, რომლებიც წარმოადგენენ კაპიტალში წილის უმრავლესობის მფლობელს.

დირექტორთა საბჭოს წევრები:

1. საჯივ ბალაკრიშნან-GSGHL
2. ტარანდიპ სინგ კაპურ-GSGHL
3. რაჯეევ პაი-JSW
4. ჯემალ ინაიშვილი-GSGHL
5. ჰარბაჯან სინგი კაპურ-დამოუკიდებელი
6. ჯაიდიპ სინგ კაპურ-GSGHL

2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა

შიდა კონტროლი არის პროცესი რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ჯგუფის ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- ჯგუფის აქტივებისა და მონაცემების დაცვა;
- ფინანსური და სხვა ანგარიშგების სანდოობა;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენცია და გამოვლენა;
- რისკების აღმოჩენა და მართვა;
- ჯგუფში მიღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების თანხვედრა შესაბამის საკანონმდებლო ნორმებთან;

კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

('000 ლარში)

ჯგუფს გააჩნია ფინანსური ანგარიშგების მომზადების დიდი ხნის პრაქტიკა. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ძირითადი როლი უკავია ფინანსურ დეპარტამენტს, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალებით.

ფინანსური ანგარიშგების შედგენასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის პროცესები მოიცავს შემდეგს:

- კომპეტენტური და ეთიკური პერსონალი - ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი იმართება ფინანსური დეპარტამენტის მიერ, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი გამოცდილებისა და განათლების მქონე თანამშრომლებით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ მოხდეს უმცროსი თანამშრომლების მიერ მომზადებული სამუშაო ფაილების შესაბამისი გადახედვა და ხარისხის კონტროლი;
- ფუნქცია-მოვალეობების გამიჯვნა - თანამშრომლებზე ისეა განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, რომ ერთსა და იმავე თანამშრომელს არ აქვს რომელიმე პროცესზე სრულად გავლენის მოხდენის საშუალება. თითოეულ პროცესში მონაწილეობს რამდენიმე დეპარტამენტი ისე, რომ აღსრულების და კონტროლის ფუნქციები მუდმივად გამიჯნულია ერთმანეთისგან;
- საიმედო საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT) - IT სისტემები, რომლებსაც ჯგუფი იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში, კარგად ორგანიზებული და მართულია. მუდმივად ხდება მათი სანდოობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე შემოწმება;
- ჯგუფის აქტივების დაცვა - ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს აქტივების დაცვას და დანერგილი აქვს შემდეგი სახის კონტროლები: მარაგების და ძირ. საშუალებების ფიზიკური აღწერა, შედარებები მნიშვნელოვან მომწოდებლებთან და კლიენტებთან. ჯგუფის მთელი პერიმეტრი აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით და კონტროლდება მონიტორინგის სამსახურის მიერ.

3. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

ჯგუფს არ გააჩნია სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა.

4. მმართველი ორგანოს შემადგენლობა

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მმართველი ორგანოს წევრების შემადგენლობა ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის:

სახელი, გვარი	პოზიცია	დაბადების თარიღი	ასაკი	პოზიციაზე დანიშნვის თარიღი	ვადის გასვლა
ბატონი ბალაკრიშნან საჯივი	გენერალური დირექტორი	04-08-64	59	18-12-10	3 წელი
ბატონი ტარანდივ სინგ კაპურ	დირექტორი	02-03-90	34	17-11-21	3 წელი
ბატონი რაჯეევ მადუსუდან პაი	დირექტორთა საბჭოს წევრი	15-01-62	62	05-10-15	NA
ბატონი ჯემალ ინაიშვილი	დირექტორთა საბჭოს წევრი	11-11-62	61	28-10-08	NA
ბატონი ჰარბაჯან სინგი კაპური	დამოუკიდებელი დირექტორი	01-04-40	84	28-10-08	NA
ბატონი ჰარდივ სინგი	დამფუძნებელი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	12-11-59	64	16-05-06	3 წელი
ბატონი იოსებ გორგილაძე	აუდიტის თავმჯდომარე	21-11-77	46	15-03-23	NA
ბატონი ჯაიდიპ სინგ კაპურ	დირექტორი	30-03-93	30	15-03-23	3 წელი
ბატონი ანურაგ შრივასტავა	მთავარი ფინანსური ოფიცერი	07-12-82	41	შრომითი კონტრაქტი	შრომითი კონტრაქტი

ბატონი ბალაკრიშნან საჯივ - გენერალური დირექტორი

ბატონი საჯივი ფლობს ინდოეთის ჩრდილოეთ ბენგალის უნივერსიტეტის, სამთავრობო ინჟინერიის კოლეჯის ელექტროინჟინერიის ბაკალავრის ხარისხს.

შპს ჯეოსთილის დირექტორის პოსტს ბ-ნი საჯივი 2010 წლიდან იკავებს. იგი მოქმედებს, როგორც გენერალური დირექტორი და ხელმძღვანელობს სხვადასხვა განყოფილებას, მათ შორის ადმინისტრაციას, იურიდიულ, ხარისხის მართვის, გარემოს დაცვისა და სხვა მიმართულებებს. ბატონი საჯივი განაგებს ჯგუფის სტრატეგიულ საკითხებსაც, მათ შორის წარმოების დაგეგმვას, ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას.

ბატონი ჰარდივ სინგ - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამფუძნებელი

ბატონი ჰარდივ სინგი ბრიტანელი ბიზნესმენია, რომელიც ფლობს მაგისტრის ხარისხს ეკონომიკაში. ბატონი ჰარდივი ცხოვრობს ლონდონში და საქართველოში, კერძოდ რუსთავეში, ინვესტიციის განხორციელებამდე 25 წელზე მეტი წარმატებულად მოღვაწეობდა ფოლადით ვაჭრობის სფეროში.

ბატონი ჰარდივი და ქალბატონი ანიტა სინგი არიან საბოლოო ბენეფიციარები კომპანია „ჯეოსთილის“, რომელიც 2007 წელს დაარსდა.

ჯგუფმა \$70 მლნ-ზე მეტი ინვესტიცია განახორციელა საქართველოში კაპიტალური დანახარჯების სახით, რომელიც ქარხნის მოწყობას მოხმარდა.

ბატონი ტარანდივ სინგ კაპური - დირექტორი

ბატონი ტარანდივი აბერდენის უნივერსიტეტის (ა.შ.შ.) სამართლის სკოლის კურსდამთავრებულია.

„ჯეოსთილის“ მმართველ გუნდს 2014 წელს შეუერთდა. იგი ბატონი ჰარდივისა და ქალბატონი ანიტა სინგის უფროსი შვილია.

ბატონი ტარანდივი აქტიურად იყო ჩართული ჯგუფის გაყიდვების მიმართულებით. იგი განაგებდა სამომხმარებლო სერვისებს და ზრუნავდა ახალი ბაზრების ათვისების სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე.

ბატონი ტარანდივი 2022 წლის იანვარში ჯგუფის დირექტორი გახდა. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებაში, პროცედურების გაუმჯობესებისკენ მიმართულით ნაბიჯების დადგენაში, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებასა და ჯგუფის სახელით მოლაპარაკებების წარმოებაში.

ბატონი ჯაიდივ სინგ კაპური - დირექტორი

ბ-ნი ჯაიდივ სინგ კაპური არის მექანიკური ინჟინერიის კურსდამთავრებული როჩესტერის უნივერსიტეტიდან, აშშ. იგი დაკავშირებულია შპს „ჯეოსთილთან“ 2017 წლიდან, როგორც უფროსი მენეჯმენტის ჯგუფის შემადგენელი წევრი. ის არის ბატონი ჰარდივ სინგისა და ქალბატონი ანიტა სინგის უმცროსი ვაჟი.

ის გარდა სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების ხელმძღვანელობისა, როგორცაა სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება, ბიზნეს გეგმები, მოგება და ბაზრის ზრდა, ხარჯები და შესრულების გაუმჯობესება, აქტიურად იყო ჩართული ჯგუფის ფინანსური მენეჯმენტის ადმინისტრირებასა და მართვაში.

ბატონი ჰარბაჯან სინგ კაპური - დამოუკიდებელი დირექტორი

ბატონი ჰარბაჯან სინგ კაპური (სერთიფიცირებულ ინდოელ ბანკირთა ინსტიტუტის წევრი) ეკონომიკის ასპირანტი და სამართლის ბაკალავრია. ის 1994-2000 წლებში იყო ალაჰაბად ბანკის მმართველი დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. აღნიშნულ ბანკს მთელ ინდოეთში 2000-მდე ფილიალი აქვს. ამ პოსტამდე ბატონი ჰარბაჯანი იკავებდა გენერალური დირექტორის პოსტს პუნჯაბის ეროვნულ ბანკში და უკო ბანკში 1988-1993 წლებში.

ბატონი კაპური ჯგუფის დირექტორის პოსტს 2009 წლიდან იკავებს. იგი საოპერაციო საქმიანობაში ქმედით როლს არ ითავსებს. ის მონაწილეობას იღებს საბჭოს სხდომებში და მოქმედებს, როგორც არააღმასრულებელი დირექტორი

- წარმოადგენს საკუთარ რჩევას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე მსოფლიო ბაზრის კრილში.

ბატონი რაჯივ მადუსუდან პაი - დირექტორთა საბჭოს წევრი

ბატონი რაჯივ პაი ჯგუფის დირექტორია 2015 წლიდან.

ბატონი პაი არის ასევე ჯეოსთილის დირექტორთა საბჭოს წევრიც და წარმოადგენს JSW STEEL (ნიდერლანდები) მხარეს. ის არ მოქმედებს ჯგუფში, როგორც გენერალური დირექტორი და არ არის ჩართული ჯეოსთილის ყოველდღიურ საქმიანობაში. მის მოვალეობაში შედის ჯგუფისთვის სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებით რჩევების მიცემა. იგი საოპერაციო საქმიანობაში ქმედით როლს არ ითავსებს. ის მონაწილეობას იღებს საბჭოს სხდომებში და მოქმედებს, როგორც არაადმინისტრაციული დირექტორი - წარმოადგენს საკუთარს რჩევას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე მსოფლიო ბაზრის კრილში.

ბატონი ჯემალ ინაიშვილი - დირექტორთა საბჭოს წევრი

ბატონი ჯემალ ინაიშვილი 2010 წლიდან ჯგუფის დირექტორია. ის არ მოქმედებს ჯგუფში, როგორც გენერალური დირექტორი და არ არის ჩართული ჯეოსთილის ყოველდღიურ საქმიანობაში. მის მოვალეობაში შედის ჯგუფისთვის სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებით რჩევების მიცემა. ის მონაწილეობას იღებს საბჭოს სხდომებში და მოქმედებს, როგორც არაადმინისტრაციული დირექტორი - წარმოადგენს საკუთარს რჩევას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივი ბაზრის, ასევე მსოფლიო ბაზრის კრილში.

ბატონი იოსებ გორგილაძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე ბატონმა იოსებ გორგილაძემ „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის“ ბაკალავრის ხარისხი მიიღო 1998 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ხოლო 2005 წელს „გლობალური საბანკო და ფინანსები“ მაგისტრის ხარისხი ლონდონის ევროპული ბიზნეს სკოლიდან. 1998-99 წლებში ის იკავებდა გაყიდვების ოფისის მენეჯერის პოზიციას შ.პ.ს. „მაგთიკომში“, ხოლო 2000-01 წლებში იყო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში. 2009 წლიდან დღემდე ის არის გენერალური მენეჯერი შ.პ.ს. „ვილჰელმსენ შიფს სერვის ჯორჯიაში“ (ს/ნ 404437695) და მისი საქმიანობა მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე ჯგუფის პოზიციის გაუმჯობესების მიზნით ბიზნესის განვითარების პროცესთან აქტიურ მუშაობას, ყოველდღიურ ჩართულობას/მოლაპარაკებას მომხმარებლებთან/მომწოდებლებთან, პორტებთან, სარკინიგზო ხელისუფლებასთან და ა.შ. ის ასევე 2022 წლის იანვრიდან იკავებს დირექტორის მოადგილის პოზიციას შ.პ.ს. „თბილისი დრაი პორტში“ (ს/ნ 405483454).

ბატონი ანურაგ შრივასტავა - მთავარი ფინანსური ოფიცერი, პროფესიონალი ფინანსისტი.

დაამთავრა კომერციის ბაკალავრიატი (2004)

სერტიფიცირებული ბუღალტერი, ინდოეთის ბუღალტერთა ინსტიტუტის სერტიფიცირება (ICAI, მუმბაი) (2006). შპს ჯეოსთილში მოღვაწეობის პერიოდი 2010 წლის ივლისიდან 2016 წლის ოქტომბრამდე და 2020 წლის თებერვლიდან დღემდე. 18 წელზე მეტი გამოცდილება ინდუსტრიაში.

სერტიფიცირებულია IFRS სტანდარტებში და აქვს კვალიფიციური ცოდნა US Gaap, UK Gaap, IND AS, და ასევე ERP-ზე დაფუძნებულ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფა-Microsoft Navision-ში.

ბ-ნი ანურაგ შრივასტავას ფუნქციები შპს ჯეოსთილში ასევე მოიცავს ჯგუფის კორპორაციული მდივნის მოვალეობებს, რათა ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმაროს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში.

განმარტება დანართი N2-თვის

ბ-ნი ჰარდიფ სინგი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბ-ნი ჰარდიფ სინგი ბრიტანელი ბიზნესმენია, რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი ეკონომიკაში.

1988 წელს ის გადავიდა ლონდონში და ჩაერთო ფოლადით ვაჭრობის ოპერაციებში წამყვან საერთაშორისო კომპანიაში, რომლის ძირითადი სასაქონლო საქმიანობა წარმოადგენს ფოლადით და ქვანახშირით ვაჭრობას.

ბ-ნი ჰარდიფ სინგს აქვს 25 წელზე მეტი გამოცდილება, როგორც წარმატებულ ფოლადის ტრეიდერს საერთაშორისო ბიზნესისა და საქონლის ვაჭრობის სფეროებში მთელ მსოფლიოში.

ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბ-ნი სინგჰი ფოკუსირებული იყო ფოლადის მიწოდებაზე ფოლადის გადამამუშავებლებისთვის და დიდი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში - დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ფოლადის ძირითადი მომწოდებლებისგან. აქცენტი იყო ფოლადის სტაბილური მიწოდება განვითარებად ქვეყნებში მათი ინფრასტრუქტურის საჭიროებებისთვის. ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში ევროპაში ფოლადის მრეწველობის კონსოლიდაციის შემდეგ, ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში ფოლადის ინდუსტრიის რესტრუქტურისაციის შემდეგ ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. ახალი შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად, ბატონმა სინგმა ყურადღება ასევე გაამახვილა ფოლადის ვაჭრობაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

მოგვიანებით, ბ-ნმა ჰარდიფმა გახსნა ახალი სამრეწველო საწარმო რუსთავეში, საქართველოში.

შპს ჯეოსთილი დაარსდა 2006 წელს და დღემდე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვეყანაში. GeoSteel არის ფოლადის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია საქართველოში, ბაზრის უპირატესი წილით. GeoSteel იყო და არის ერთადერთი 100% გრინფილდის ფოლადის საწარმო საქართველოში და სრულად დაფინანსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მეშვეობით.

წლების განმავლობაში GeoSteel-მა განახორციელა დაახლოებით 90 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია საქართველოში, როგორც კაპიტალური დანახარჯები ფოლადის საწარმოს შესაქმნელად და მისი შემდგომი ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებში, ქარხნებსა და მანქანა-დანადგარებში პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ შპს „ჯეოსთილი“ იყო დამხმარე ქვეყნისთვის Covid-ის პერიოდში 2020 წლიდან. შპს „ჯეოსთილი“ ჟანგბადით ამარაგებდა საქართველოს ყველა საავადმყოფოს საათობრივი საჭიროებით. შპს „ჯეოსთილი“ ამ დრომდე უშუალოდ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეიტანა ქვეყნის ხაზინაში. ჯეოსთილი ასევე მუდმივად ასაქმებს 500-ზე მეტ თანამშრომელს პირდაპირ და 2000-ს არაპირდაპირ.

ბ-ნ ჰარდიფ სინგს აქვს დადასტურებული გამოცდილება საქართველოში წარმატებული ფოლადის ქარხნის დაარსებისა და ექსპლოატაციის საქმეში. მისი გამოცდილება ამ რეგიონში და გამოცდილება ფოლადის მრეწველობაში უზარმაზარ უპირატესობას წარმოადგენს კომპანიისთვის და ქვეყნისთვის ამ წარმატების ისტორიაში.

ბ-ნი ჰარდიფის როლი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და კომპანიის დირექტორის როლი აუცილებელია კომპანიის უწყვეტი ზრდისა და წარმატების გზაზე ხელმძღვანელობისა და მართვისთვის. ბ-ნ ჰარდიფს აქვს მნიშვნელოვანი როლი ქარხნის მუშაობის პროცესის მიმოხილვაში და კომპანიის მიზნების განსაზღვრაში გენერალურ დირექტორთან და კომპანიის სხვა დირექტორებთან მუდმივი კოორდინაციით.

ამრიგად, კომპანიას არ შეუძლია გარისკოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ისეთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც დაკისრებული ექნება დამოუკიდებელ პირს, რომელსაც არ აქვს დიდი გამოცდილება და სიღრმისეული ცოდნა ფოლადის ინდუსტრიაში. ასეთი დამოუკიდებელი ადამიანი, რომელიც არ მიეკუთვნება ფოლადის მრეწველობას და არ ფლობს ამხელა გამოცდილებას, ვერასოდეს შეძლებს სათანადო მითითებებს მისცეს მენეჯმენტის დირექტორებს და ვერ შეძლებს რაიმე რთული საოპერაციო საკითხის გადაჭრას.

„ჯეოსთილის“ მუდმივი მხარდაჭერის მიზნით, ბატონმა სინგმა გადაწყვიტა, რომ საცხოვრებლად საქართველო აერჩია, რათა მას ამ როლის ღირსეულად შესრულება შეძლებოდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შეინარჩუნოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, რათა მისი ღირებული რჩევები მენეჯმენტისა და საბჭოსთვის გაგრძელდეს და ხელი შეუწყოს შპს „ჯეოსთილის“ ზრდას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ბალაკრიშნან საჯივი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჰარდიფ სინგჰი

შპს „ჯეოსთილი“

კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(‘000 ლარში)

ოთხმოციანი წლების ბოლოსა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბ-ნი სინგჰი ფოკუსირებული იყო ფოლადის მიწოდებაზე ფოლადის გადამამუშავებლებისთვის და დიდი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში - დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ფოლადის ძირითადი მომწოდებლებისგან. აქცენტი იყო ფოლადის სტაბილური მიწოდება განვითარებად ქვეყნებში მათი ინფრასტრუქტურის საჭიროებებისთვის. ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში ევროპაში ფოლადის მრეწველობის კონსოლიდაციის შემდეგ, ევროპასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში ფოლადის ინდუსტრიის რესტრუქტურისაციის შემდეგ ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. ახალი შესაძლებლობების გაჩენასთან ერთად, ბატონმა სინგმა ყურადღება ასევე გაამახვილა ფოლადის ვაჭრობაზე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის.

მოგვიანებით, ბ-ნმა ჰარდიფმა გახსნა ახალი სამრეწველო საწარმო რუსთავეში, საქართველოში.

შპს ჯეოსთილი დაარსდა 2006 წელს და დღემდე არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვეყანაში. GeoSteel არის ფოლადის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია საქართველოში, ბაზრის უპირატესი წილით. GeoSteel იყო და არის ერთადერთი 100% გრინფილდის ფოლადის საწარმო საქართველოში და სრულად დაფინანსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მეშვეობით.

წლების განმავლობაში GeoSteel-მა განახორციელა დაახლოებით 90 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია საქართველოში, როგორც კაპიტალური დანახარჯები ფოლადის საწარმოს შესაქმნელად და მისი შემდგომი ინვესტიციები თანამედროვე ტექნოლოგიებში, ქარხნებსა და მანქანა-დანადგარებში პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აუცილებელია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ შპს „ჯეოსთილი“ იყო დამხმარე ქვეყნისთვის Covid-ის პერიოდში 2020 წლიდან. შპს „ჯეოსთილი“ ჟანგბადით ამარაგებდა საქართველოს ყველა საავადმყოფოს საათობრივი საჭიროებით. შპს „ჯეოსთილმა“ ამ დრომდე უშუალოდ 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეიტანა ქვეყნის ხაზინაში. ჯეოსთილი ასევე მუდმივად ასაქმებს 500-ზე მეტ თანამშრომელს პირდაპირ და 2000-ს არაპირდაპირ.

ბ-ნ ჰარდიფ სინგს აქვს დადასტურებული გამოცდილება საქართველოში წარმატებული ფოლადის ქარხნის დაარსებისა და ექსპლოატაციის საქმეში. მისი გამოცდილება ამ რეგიონში და გამოცდილება ფოლადის მრეწველობაში უზარმაზარ უპირატესობას წარმოადგენს კომპანიისთვის და ქვეყნისთვის ამ წარმატების ისტორიაში.

ბ-ნი ჰარდიფის როლი, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და კომპანიის დირექტორის როლი აუცილებელია კომპანიის უწყვეტი ზრდისა და წარმატების გზაზე ხელმძღვანელობისა და მართვისთვის. ბ-ნ ჰარდიფს აქვს მნიშვნელოვანი როლი ქარხნის მუშაობის პროცესის მიმოხილვაში და კომპანიის მიზნების განსაზღვრაში გენერალურ დირექტორთან და კომპანიის სხვა დირექტორებთან მუდმივი კოორდინაციით.

ამრიგად, კომპანიას არ შეუძლია გარისკოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ისეთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც დაკისრებული ექნება დამოუკიდებელ პირს, რომელსაც არ აქვს დიდი გამოცდილება და სიღრმისეული ცოდნა ფოლადის ინდუსტრიაში. ასეთი დამოუკიდებელი ადამიანი, რომელიც არ მიეკუთვნება ფოლადის მრეწველობას და არ ფლობს ამხელა გამოცდილებას, ვერასოდეს შეძლებს სათანადო მითითებებს მისცეს მენეჯმენტის დირექტორებს და ვერ შეძლებს რაიმე რთული საოპერაციო საკითხის გადაჭრას.

„ჯეოსთილის“ მუდმივი მხარდაჭერის მიზნით, ბატონმა სინგმა გადაწყვიტა, რომ საცხოვრებლად საქართველოში აერჩია, რათა მას ამ როლის ღირსეულად შესრულება შეძლებოდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შეინარჩუნოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა, რათა მისი ღირებული რჩევები მენეჯმენტისა და საბჭოსთვის გაგრძელდეს და ხელი შეუწყოს შპს „ჯეოსთილის“ ზრდას.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული კორპორაციული მართვის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 29 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ბალაკრიშნან საჯივი



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჰარდიფ სინგი

